თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №5

თბილისი, 29 სექტემბერი, 2025

სხდომა დაიწყო: 11:05 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- პაატა სალია – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ლანა მორგოშია – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ლაშა მაღრაძე – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნინო ენუქიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნინო თანდილაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- ავთანდილ კოჭლამაზაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

- ილია ბეგიაშვილი – ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი შარაბიძე – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- ქეთევან გოგელაშვილი – კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი კულტურის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- თამარ მემანიშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის ნაცვლად;
- გოგა ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ლაშა პიტნავა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- თამარ გეგეშიძე – საქართველოს სპორტის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციათა შემსრულებელი, წარმოდგენილი საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილის ნაცვლად.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ანა აფრიდონიძე – საქართველოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

1. ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
2. გიორგი სანტურიანი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- შორენა მირცხულავა – ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- დავით მათიკაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- გიორგი ლილუაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“;
- ლალი ბუნტური – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“;
- შოთა მაქაცარია – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“
- გიორგი ედიშერაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“;

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა სალიამ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. მისალმება;
2. მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული და კომისიის სამდივნოში შემოსული საკითხების განხილვა;
3. კითხვა-პასუხი;
4. სხდომის დახურვა.

ბატონმა პაატა სალიამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა სხდომის ოქმის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით. ამის შემდეგ, დღის წესრიგის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარე გადავიდა კომისიის სამდივნოში შემოსული განცხადებების განხილვაზე.

პირველი საკითხი შეეხებოდა პარტია „საქართველოს“ თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ლილუაშვილის, განცხადებებს. მის მიერ მოწოდებული განცხადებებიდან კომისიის მანდატის შესაბამისად მხოლოდ ორი შევიდა დღის წესრიგში. პირველ განცხადებაში ნათქვამია, რომ კახა კალაძის მიერ პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართების გადაცემა წინასაარჩევნო პერიოდში წარმოადგენს ამომრჩევლის არაპირდაპირ მოსყიდვას, ადმინისტრაციული

რესურსების გამოყენებასა და საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას; ხოლო მეორე განცხადების თანახმად, თბილისობის გამართვა და ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული სხვა აქტივობები წინა საარჩევნო პერიოდში, ასევე, წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების გამოყენებას წინასაარჩევნო მიზნებისთვის და მოსახლეობის არაპირდაპირ მოსყიდვას. ბატონი გიორგი ლილუაშვილი (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“) განცხადებებით ითხოვს, რომ ცესკო-მ განიხილოს კახა კალაძის კანდიდატურის მოხსნის საკითხი; იგი ასევე მიმართავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან ღონისძიებების დაფინანსება შეისწავლოს, როგორც კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი; ხოლო ანტიკორუფციულ ბიუროს მოუწოდებს, დაიწყოს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 164[1]-ე (ამომრჩევლის მოსყიდვა), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ განცხადებებზე კომენტარის გასაკეთებლად ბატონმა პაატამ სიტყვა გადასცა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსს, ბატონ გოგი ჩიქოვანს. ბატონმა გოგიმ განაცხადა, რომ თბილისობა წარმოადგენს დედაქალაქისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც ტრადიციულად ყოველწლიურად იმართება და იგი გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში; უშუალოდ ორგანიზების კუთხით შექმნილია თბილისობის საორგანიზაციო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მერის ერთ-ერთი მოადგილე; საორგანიზაციო კომისიის უფლებამოსილებას განეკუთვნება მთლიანად თბილისობასთან დაკავშირებული ღონისძიებების კონცეფციისა და პროგრამის შემუშავება, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საორგანიზაციო თუ სამართლებრივი საკითხების უზრუნველყოფა; რამდენადაც ბატონი გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“) განცხადებაში საუბარი იყო საპატიო თბილისელის წოდების მინიჭების ღონისძიებაში თბილისის მერის მონაწილეობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ საპატიო თბილისელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით არსებობს ცალკე კომისია, რომელშიც მონაწილეობენ, როგორც მერიის სტრუქტურული ერთეულები, ისე თბილისის საკრებულოს წევრები; საჭიროების შემთხვევაში ხდება სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების მოწვევაც; რაც შეეხება ღონისძიების ფორმატს, იგი ითვალისწინებს შესაბამის პროცესში მერის

მონაწილეობას; კახა კალაძის შემთხვევაში, რომელიც მერობის კანდიდატობის გარდა, არის თბილისის მოქმედი მერიც, კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა, როგორც საპატიო თბილისელის წოდების მინიჭება, ისე შესაბამის ღონისძიებაში მისი მონაწილეობა; ზოგადად „თბილისობა“ ტრადიციულად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იყო ორგანიზებული და კახა კალაძე, როგორც მოქმედი მერი, ისე მონაწილეობდა ძირითად ღონისძიებაში.

ბატონმა გოგიმ ასევე ისაუბრა ბინების გადაცემის საკითხთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ 2018 წლიდან მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო პროგრამა, რომელიც გულისხმობს უსახლკარო პირებისთვის ღირსეული საცხოვრისის შექმნის ხელშეწყობას და ამ მიზნით შეიქმნა საბიუჯეტო ქვეპროგრამა; გარდა ამისა, დამტკიცდა წესი, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ კრიტერიუმებს, როგორ ხდება უსახლკაროთა სტატუსის მინიჭება; ამ სტატუსის მინიჭებისთვის ასევე შეიქმნა კომისია; ზემოაღნიშნული წესის ფარგლებში უკვე 400-მდე უსახლკარო პირს მიენიჭა შესაბამისი სტატუსი, დაიწყო მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცესი, საბინაო ფონდის შექმნა და მათთვის ბინების გადაცემა; ეს პროცესი დაიწყო 2018 წელს, იგი ეტაპობრივად ხორციელდება და 400-მდე პირს უკვე გადაეცა საცხოვრისი; აღნიშნულიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტსა და პროგრამას, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტში და უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი სამართლებრივი აქტებით; ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბინების გადაცემა ვერ ჩაითვლება მოსყიდვად, ვინაიდან ეს არ ხორციელდება საარჩევნო სუბიექტის ან მისი კანდიდატის მიერ, არამედ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში; განცხადებით წარმოდგენილ ფოტომასალაში ასახული იყო ერთ-ერთ ბენეფიციართან მოქმედი მერის ვიზიტი და კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო მხოლოდ მუნიციპალიტეტის ძირითადი პროგრამის ნაწილი. ბატონი გოგის თქმით, მეორე საკითხიც იყო ფართების გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც კვლავ უკავშირდება მოქალაქეების ღირსეული საცხოვრისით ხელშეწყობის ნაწილს; წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებით არსებობდა პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ მათში ადამიანები ცხოვრობდნენ და სამართლებრივი სტატუსი არ ჰქონდა აღნიშნულ ქონებას; ამიტომ 2018 წლიდან მიმდინარეობს იმ ქონებების

დაკანონებაც, რომლებითაც სარგებლობდნენ მოქალაქეები და ეს ხდება მერიის და საკრებულოს ჩართულობით, შესაბამისი წესის გათვალისწინებით; აღსანიშნავია, რომ უკვე 3 000-მდე ოჯახს დაუკანონდა ზემოაღნიშნული ფართი; ასე რომ, არც ეს არაა ახალი, წინასაარჩევნო ინიციატივა და იგი ხორციელდება 2018 წლიდან.

ბატონი გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო") განცხადებებთან დაკავშირებით ბატონმა პაატამ დამატებით განაცხადა, რომ რამდენადაც განმცხადებლის მიერ საუბარია ასევე იმაზე, რომ ბატონი კახა კალაძის მხრიდან ადგილი აქვს დარღვევას, რადგან მან არ დატოვა მოქმედი მერის თანამდებობა და შემდგომ გამოიყენა თანამდებობა და ადმინისტრაციული რესურსი საარჩევნო მიზნებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 136-ე მუხლიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში, მოქმედ მერს სახელმწიფო მოსამსახურეებისა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისგან განსხვავებით სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უწყდება, შესაბამისად, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოქმედი მერის თანამდებობიდან გადადგომას ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტას წინასაარჩევნო პერიოდში; რაც შეეხება უშუალოდ ბინების გადაცემას, თბილისობას და სხვადასხვა პირისთვის საპატიო თბილისელის წოდების მინიჭებას, მართალია, აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებებზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა, მაგრამ განცხადებაში არ არის მითითებული, რომ რაიმე პირდაპირი სახით აგიტაციას ჰქონდა ადგილი ღონისძიებებზე; ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში; ცხადია, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებები, ყველა, გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით 60 დღეზე გაცილებით ადრე, შესაბამისად, რაიმე სახის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ამავე საკითხზე ცესკო-ს აპარატის უფროსმა/იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა გიორგი სანტურიანმაც გამოთქვა თავისი მოსაზრება. მან განაცხადა, რომ გასული წლების განმავლობაში ე.წ. ბინების გადაცემის საკითხი ყოფილა სასამართლოს განხილვის საგანი, მათ

შორის მოსყიდვის თვალსაზრისით, როდესაც ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტი აყენებდა მოთხოვნას, მოსყიდვის მოტივით გაუქმებულიყო საარჩევნო რეგისტრაცია, თუმცა ზუსტად იმის გამო, რომ ეს იყო მრავალწლიანი პროგრამა და იგი არ ემსახურებოდა მოსყიდვას, სარჩელი სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილებულა; შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ანალოგიური პრაქტიკა არსებობს საერთო სასამართლოებშიც.

პარტია „საქართველოს" წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლალი ბუნტურმა უკმაყოფლება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ოქტომბრის ნაცვლად სექტემბრის თვეში გაიმართა „თბილისობა". ბინების გადაცემაში თბილისის მოქმედი მერის მონაწილეობასთან დაკავშირებითაც გამოთქვა მან უკაყოფილება და განაცხადა, რომ აღნიშნულის განხორციელება შეეძლო თუნდაც მერიის სხვა თანამშრომელს.

ამის შემდეგ ისაუბრა პარტია „საქართველოს" თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა. მან განაცხადა, რომ „თბილისობაზე" ქალაქის მასშტაბით მოეწყო ბაზრობები, რომლებზეც საქონლის ფასი შედარებით იაფი იყო საბაზრო ფასთან შედარებით, რაზეც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლისგან, ბატონი გოგი ჩიქოვანისგან, პასუხად მიიღო, რომ გამოფენა-გაყიდვა წარმოადგენს „თბილისობის" ტრადიციულ ნაწილს, იგი ყოველ წელს ტარდება და ღონისძიების ყველა მონაწილე ცდილობს თავისი პროდუქციის პოპულარიზაციას. ბატონმა გიორგიმ ასევე პრეტენზია გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეები მონაწილეობას იღებდნენ „თბილისობის" ღონისძიებაში და „თბილისობა" ოქტომბრის ნაცვლად ჩატარდა სექტემბერში. აღნიშნულის საპასუხოდ ბატონმა გოგი ჩიქოვანმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) განაცხადა, რომ მერიის ცალკეულ სამსახურებს კონკრეტული ფუნქციები აქვთ სადღესასწაულო ღონისძიებებთან დაკავშირებით და ამ სამსახურების თანამშრომლები თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებენ ღონისძიებების ფარგლებში; ზემოაღნიშნულთან დაკავშირებითაც მსგავს შემთხვევასთან გვქონდა ადგილი, რამდენადაც სახეზე იყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული და არა პარტიული ღონისძიება; ასევე, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ღონისძიებები იმართებოდა შაბათ-კვირას და სხვა საჯარო მოხელეებსაც არასამუშაო საათებში აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა, როგორც დამსწრის, ისე სხვა სტატუსით; რაც შეეხება „თბილისობის" სექტემბერში ჩატარების საკითხს, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კანონმდებლობით

საერთოდ არაა გათვალისწინებული, „თბილისობა“ მაინცდამაინც ოქტომბრის თვეში გაიმართოს.

რამდენადაც ბატონი გიორგი ლილუაშვილი (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“) ზემოაღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით მიუთითებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევაზეც და ამასთან განცხადების ერთ-ერთ ადრესატს ასევე წარმოადგენდა საქართველოს გენერალური პროკურატურაც, გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა ავთანდილ კოჭლამაზაშვილმა, განაცხადა, რომ შესწავლილ იქნა ბატონი გიორგის განცხადება და შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში; განცხადებაში მითითებული იყო, რომ სავარაუდოდ ამომრჩეველთა მოსყიდვას აქვს ადგილი და რამდენადაც ეს წარმოადგენს პროკურატურის შესაბამისი დანაყოფის ქვემდებარე დანაშაულს, თუ დადასტურდება იგი, აუცილებლად მოყვება შესაბამისი რეაგირება საქართველოს პროკურატურის მხრიდან.

ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პარტია – „საქართველო“) ასევე ისაუბრა უწყებათაშორისი კომისიის სხდომების ოქმების ხელზე გადაცემასთან დაკავშირებითაც, რაზეც ბატონმა პაატამ განაცხადა, რომ მას კომისიის სხდომები მიეწოდებოდა მისი მოთხოვნის შესაბამისად.

ამის შემდეგ, ბატონმა პაატა სალიამ ისაუბრა ბატონი გიორგი ლილუაშვილის მიერ კომისიის სამდივნოში გამოგზავნილ ერთ-ერთ განცხადებაზე, სადაც მოთხოვნილი იყო ორი კანდიდატის საარჩევნო სიებში შეყვანა. ბატონი პაატას თქმით, განცხადებაში წარმოდგენილი პიროვნებები უკვე შეყვანილნი არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის სიაში, რომელთა გადამოწმებაც შესაძლებელია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“) მადლობა გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ზემოხსენებული პირების ამომრჩეველთა სიაში შეყვანისთვის, თუმცა მისი თქმით, მას სურს, რომ ეს ორი პიროვნება კანდიდატთა სიაში დარეგისტრირდეს, რაზეც უპასუხა ბატონმა პაატა სალიამ. მისი თქმით ცენტრალური საარჩევნო კომისია მოქმედებს კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად. კომისიის თავმჯდომარემ ბატონ გიორგი ლილუაშვილს საარჩევნო კოდექსის კონკრეტული ნორმის მითითება და დაზუსტება სთხოვა,

რაზეც ბატონმა გიორგიმ უპასუხა, რომ ცესკოს უნდა ეზრუნა კანდიდატების საარჩევნო სიაში შეყვანა და სწორედ ცესკომ უნდა უზრუნველყოს ამ პირების უფლებების დაცვა და მოახდინოს განცხადებაში წარმოდგენილი ორი პიროვნების კანდიდატებად დარეგისტრირება. მან კონკრეტული ნორმა ვერ მიუთითა და აღნიშნა, რომ კონსტიტუცია და საარჩევნო კანონმდებლობა აძლევს იმის უფლებას, რომ ადამიანი იყოს როგორც ამომრჩეველი, ისე არჩევით პოზიციაში. მისი თქმით მხოლოდ გარდაცვალების ან სასამართლო დადგენილებით შეიძლება პირისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა.

ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ კანდიდატად დარეგისტრირებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ვადები. ზემოხსენებულ განცხადებაში დასმულ საკითხზე, ბატონ გიორგი ლილუაშვილს წინა სხდომებზეც მიეწოდა შესაბამისი ინფორმაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების მიერ. ამომწურავი პასუხი გაცემულია. შესაბამისად, კომისია ამ საკითხს აღარ მიუბრუნდება. მისი თქმით, კომისიას არ აქვს უფლებამოსილება, რომ ვინმე აღადგინოს, მოხსნას სიიდან ან კანდიდატად დაარეგისტრიროს. ამასთან, ბატონ გიორგის დავა აქვს ცესკოსთან, რომელიც სასამართლოს შეუძლია განიხილოს.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა გიორგი სანტურიანს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი). მისი თქმით, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, არაერთხელ იქნა განმარტებული ბატონი გიორგი ლილუაშვილისთვის. ბატონი გიორგი შეეცადა აღნიშნული საკითხის სასამართლოს გზით გადაწყვეტასაც, თუმცა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში და მის მიერვე აღარ იყო გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოში. სხვა მხრივ ამ საკითხთან დაკავშირებით საკითხის განხილვა აზრს მოკლებულია, იქიდან გამომდინარე რომ, ყველა ვადა, რომელიც საარჩევნო კოდექსით არის განსაზღვრული, გასულია. მათ შორის, ბიულეტინების ტექსტები უკვე შედგენილია, ბიულეტინები დაბეჭდილია. შესაბამისად, თეორიულად არც ერთი ვადა არ არსებობს იმისა, რომ ეს საკითხი საერთოდ მსჯელობის საგანი გახდეს. აქედან გამომდინარე, მიზეზებიც თავის დროზე იქნა განმარტებული თუ რატომაც ვერ განხორციელდებოდა მათი რეგისტრაცია. საარჩევნო კოდექსით ითვალისწინებს ნებისმიერი კანდიდატის შემთხვევაში, რომ მან უნდა წარმოადგინოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში აუცილებლად უნდა არსებობდეს აღნიშნული. შესაბამისად, ამავდროულად პირი უნდა იყოს ამომრჩეველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ იქნება კანდიდატი. აქედან

გამომდინარე, ბუნებრივია, ვერც მოხვდებოდა რეგისტრაციაში გატარება. სხვა მხრივ ყველანაირი ვადა გასულია. სამწუხაროდ, სხვა სახის გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ეს ორი ადამიანი უკვე არსებობს ამომრჩეველთა სიაში. რომ არსებულიყო სხვა რაიმე საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მოგვცემდა, ცესკო აუცილებლად განიხილავდა.

ბატონი პაატა სალია შეეხო კომისიის სამდივნოში ბატონი გიორგი ლილუაშვილის მიერ გამოგზავნილ განცხადებას, რომელიც ეხება ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების აკრედიტაციების გაუქმებას და მათი დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა ბატონ გიორგი სანტურიანს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი).

ბატონი გიორგი სანტურიანის თქმით, როგორც წარმოდგენილი წერილიდან ირკვეოდა, ბატონი გიორგი ლილუაშვილი აყენებს საკითხს იმგვარად, რომ რეგისტრაცია გაიარეს ორგანიზაციებმა, რომლებსაც იმ მომენტისთვის არ ჰყავდათ, ან შესაძლოა ეხლაც არ ჰყავდეთ წარმოდგენილი ადგილობრივი დამკვირვებლები. საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის დამკვირვებლების წარმოსადგენად უკიდურესად არაუგვიანეს კენჭისყრის დღემდე მეხუთე დღეს. 29 სექტემბერი არის ბოლო დღე, როდესაც ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა შეიძლება წარმოადგინოს დამკვირვებელი. თუკი რომელიმე სადამკვირვებლო ორგანიზაცია არ წარმოადგენს ერთ დამკვირვებელს მაინც, ასეთ შემთხვევაში მათ რეგისტრაცია უუქმდებათ. აქედან გამომდინარე, თუკი დადგება შესაბამისი გარემოებები, იმ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რომელთაც არ ჰყავთ შესაბამისად დამკვირვებლები, რეგისტრაცია გაუუქმდებათ. შესაბამისად, ეს ვადა არსებობს. რაც შეეხება საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მათი ვადა უფრო დიდია. აქედან გამომდინარე, ცესკო იმოქმედებს თუ რა ფაქტობრივი და სამართლებრივი მოცემულობა იქნება სახეზე იმ მომენტისთვის. ხოლო მეორე გარემოება კონკრეტული სადამკვირვებლო ორგანიზაცია აქტიურად ახორციელებს თავის მისიას თუ არა, ეს მათივე გადასაწყვეტია. ამ თვალსაზრისით ცესკო რაიმე გადაწყვეტილების მიღებაში შეზღუდულია. ამასთან, ბატონი გიორგი სანტურიანის (ცენტრალური საარჩევნო

კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) თქმით, ის ვერ ისაუბრებს ორგანიზაციების დაფინანსების საკითხზე, რადგან ეს საკითხი მათ კომპეტენციას ცდება.

ამასთან დაკავშირებით, ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ანტიკორუფციული ბიუროს კომენტარის მოსმენა. ბატონმა პაატა სალიამ უპასუხა, რომ აღნიშნულ განცხადებაში დასმული საკითხები, რომელიც ეხება დაფინანსების წყაროებს და ა.შ. ცდება კომისიის უფლებამოსილებას და იგი შეიძლება იყოს სხვა უწყების კომპეტენციის სფერო. ცალკე უნდა მოხდეს ანტიკორუფციულ ბიუროში განცხადების გაგზავნა მის სფეროში შემავალი საკითხების განსახილველად, რადგან აღნიშნული ბიურო არ არის კომისიაში.

ბატონმა პაატა სალიამ საუბარი გააგრძელა მედიამონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებულ საკითხზე, რომელიც შეეხება „ტვ პირველის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიას. სტატიაში საუბარია, რომ პარტია „ლელო - ძლიერი საქართველოს" ბოლნისის მერობის კანდიდატი ბატონი ასეფ ჩირაგოვი ზეწოლისა და მუქარის მსხვერპლი გახდა. პარტია „ლელო - ძლიერი საქართველოს" ლიდერი, ბატონი ირაკლი კუპრაძე აცხადებს, რომ ბატონი ასეფთან მისული იყო მისი ოჯახის წევრი, უახლოესი ნათესავი, მოქმედი პოლიციელი, რომელმაც შესთავაზა მას თანხის დასახელება კანდიდატურის მოხსნის სანაცვლოდ. ამ საკითხზე კომენტარის გასაკეთებლად სიტყვა გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს. ბატონი ალექსანდრე დარახველიძე გამოეხმაურა ბატონი გიორგი ლილუაშვილის კომენტარს, თითქოს უწყებები არ პასუხობენ განცხადებებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთი საკითხი იყო დასმული, სადაც სჭირდებოდათ ნასამართლეობის ცნობები და ა.შ., რაზეც ყველა სახის დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა. სხვა საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილში, პასუხი გაცემულია. რაც შეეხება მედიამონიტორინგით შემოსულ კონკრეტულ საკითხს, რაიმე სახის მომართვა არ ფიქსირდება. თუმცა ამავე დროს, მედიაში გავრცელდა თავად ასეფ ჩირაგოვის ინტერვიუ, სადაც ნათქვამია: „ზეწოლა არ იყო საერთოდ არაფერში. არავინ ამაში არ ჩარეულა, ეს არის ჩემი გადაწყვეტილება და ვფიქრობ, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. საერთოდ არ მისაუბრია მაგაზე, არც პოლიციელი, არც სხვა ვიღაცები არ იყვნენ. ირაკლი კუპრაძესთან არანაირი ურთიერთობა და კავშირი არ მაქვს, არასდროს არ გვქონია სატელეფონო კომუნიკაცია. ბოლნისში, სადაც გავიზარდე, მინდოდა იქ მემსახურა და მერე გავიგე, რომ ესენი სიმშიდის საწინააღმდეგო რამეს აპირებდნენ და მე არ მინდა, რომ ამის წევრი ვიყო".

ბატონი ალექსანდრეს თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დამატებით რაიმე სახის ღონისძიება ან განხორციელებულა ამ საკითხთან მიმართებით.

ამასთან, დამატებით ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ ბატონი ასეფ ჩირაგოვის განცხადება იქნა იდენტიფიცირებული „ნეთგაზეთში", სადაც იგივე შინაარსის ისტორიას ყვება, რომ მას სურდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუმცა ნახა, რომ სხვაგვარი განზრახვები ჰქონდათ მისი პარტიის წევრებს. სწორედ ამიტომ, თქვა უარი კენჭისყრაზე. იგი დარწმუნებულია, რომ პარტია „ქართული ოცნების" კანდიდატი, ბატონი ზაურ ჭითანავა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ნამდვილად იზრუნებს ბოლნისის განვითარებასა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე. შესაბამისად, აღარ აპირებს ბატონ ზაურთან ხმების გაყოფას. არ არის შიდა დაპირისპირებების დრო, მთავარია მშვიდობის შენარჩუნება, რაზეც გადის განვითარების ერთადერთი გზა.

მედიამონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული შემდეგი საკითხი შეეხება პარტია „გახარია საქართველოსთვის" საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების ჯგუფის ხელმძღვანელის, ბატონი გიორგი ედიშერაშვილის განცხადება, რომელიც შეეხება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაწანის ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატ, ბატონ დავით მარგოშვილის პოლიტიკური ნიშნით დევნის შესახებ ინფორმაციას, რაც გამოიხატა მისი გათავისუფლებით ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გასაკეთებლად სიტყვა გადაეცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი). მისი თქმით, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურში და გამოვლინდა დავით მარგოშვილის წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტი. აღნიშნულის შესახებ შედგა აქტი და შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით გადაეგზავნა სამსახურის უფროსს. აღნიშნული დისციპლინური გადაცდომასთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის გარეთა განათების სამსახურის დირექტორის მიერ გამოცემული იქნა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და ბატონ დავით მარგოშვილს დაედო დისციპლინური სახდელი გაფრთხილების სახით. ვინაიდან ბატონი დავითი არც მეორე დღეს გამოცხადდა სამსახურში, ამასთან დაკავშირებით

დამატებითი ღონისძიება არ განხორციელებულა. პარალელურად ხდებოდა შეტყობინება და მისთვის ინფორმაციის მიწოდება ტელეფონის საშუალებით, რადგან ადგილზე არ ცხადდებოდა. მესამე დღესაც არ გამოცხადდა სამსახურში ბატონი დავითი და ამჯერადაც უცნობი იყო მიზეზები. ამის შემდეგ, სამსახურის უფროსის ბრძანებით დაედო განმეორებითი დისციპლინური სახდელი. 15 სექტემბერს გამოიცა აღნიშნული ბრძანება და დავით მარგოშვილთან დაკავშირებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, რაც გულისხმობს შინაგანაწესის დარღვევას და დისციპლინურ გადაცდომებს. იმავე დღეს ბატონმა დავითმა სამსახურს მიმართა შვებულების მოთხოვნით, როდესაც აღნიშნული ბრძანება ძალაში იყო უკვე შესული. შესაბამისად, განცხადების დაკმაყოფილება არ მომხდარა, რადგან იგი უკვე გათავისუფლებული იყო სამსახურიდან. აქვე, ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურის სფეროს წარმოადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის მოწყობა. სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ახდენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარე განათების მონტაჟს, შეკეთებას, მონიტორინგს. ყოველდღე იგეგმება და შემდეგ ხდება ობიექტზე გასვლა ჯგუფების მხრიდან. ერთ-ერთ ჯგუფში მუშაობდა ბატონი დავითიც. ტრადიციულად, განსაკუთრებით დატვირთულია ზაფხულის პერიოდი, რადგან მოსახლეობის მომართვიანობა იმატებს და ეს წელიც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურის შინაგანაწესით სამუშაო დრო განსაზღვრულია 9:00 საათიდან 17:00 საათამდე, რომლის განმავლობაშიც თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს მისი მოვალეობები. ამ სამსახურის წესდებითვე განსაზღვრულია 2 მიზეზი სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში და მიზეზების დროს შესაბამისი ქმედებები დამსაქმებლის მხრიდან. პირველი, წინასწარი შეტყობინებით განსაზღვრული მიზეზით არ ცხადდება თანამშრომელი სამსახურში და იგი ატყობინებს ხელმძღვანელს ამის შესახებ და მეორე, წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა და დასაქმებული ამ შემთხვევაში ვალდებულია, რომ შეძლებისდაგვარად სამსახურში გამოცხადებამდე აცნობოს უშუალო უფროსს გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. ამ შემთხვევაში, არც ერთი გზა გამოყენებული არ ყოფილა ბატონი დავითის მხრიდან, შინაგანაწესითვეა განსაზღვრული ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი. რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს, მათ შორის, შვებულებით, მაგრამ ეს არ

ათავისუფლებს მას მისი უფლება-მოვალეობების შესრულებისგან. ბატონმა დავით მარგოშვილმა პირველივე დღეს დისციპლინური გადაცდომის შესახებ შეეძლო გამოეყენებინა შესაძლებლობა და შეესრულებინა საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობა. იგი არ გამოცხადდა სამსახურში არც შემდგომ დღეებში და ამის შემდეგ უკვე დაიწყო მუნიციპალიტეტთან პოლიტიკური ნიშნით დევნასთან დაკავშირებით პრეტენზიების წაყენება. ახმეტის მუნიციპალიტეტი განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტი არანაირ შემხებლობაში არაა პოლიტიკურ საკითხთან და არ არის დაკავშირებული წინასაარჩევნო პერიოდთან, რადგან დამსაქმებელი ფაქტობრივად არ ცხადდებოდა სამსახურში. ამასთან, შეიტყო რა პირველი დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ, კვლავ უგულვებელჰყო შინაგანაწესით განსაზღვრული ვალდებულება, კვლავ განაგრძობდა სამსახურში გამოუცხადებლობას. მას არ წარმოუდგენია სამსახურში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რამაც გამოიწვია მის მიმართ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. აქვე, საარჩევნო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულია წინასაარჩევნო პერიოდში თანამდებობის პირების შეზღუდვა გარკვეული ტიპის გადაადგილებების. ბატონი ნიკოლოზის თქმით, ამ ნაწილშიც არ ყოფილა დარღვევა, რადგან აღნიშნული პიროვნება არ არის თანამდებობის პირი და საარჩევნო კოდექსის მიზნებისთვის მისი გათავისუფლება არ იყო დარღვევა.

სიტყვა გადაეცა გიორგი ედიშერაშვილს (პარტია „გახარია - საქართველოსთვის წარმომადგენელი). მისი თქმით, სამართლებრივი ნონსენსით დაიწყო მუნიციპალიტეტმა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ. მან როგორც აღნიშნა, ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის საუბარი არის სამართლებრივი ნონსენსი და იკითხა, თუ რატომ არ არის წესდების მე-9 მუხლი ნახსენები. მან ასევე ისაუბრა სამუშაო საათებზე, რომ 10:00 საათამდე არავინ არ მიდის სამსახურში, არც ხელმძღვანელები. ორი დღის განმავლობაში სურდა ხელმძღვანელის ნახვა და ვერ ნახა, რადგან მისგან უნდოდა ფაქტის მოსმენა. ბატონმა გიორგიმ იკითხა, ბატონი დავითი მანამდეც დადიოდა თუ არა ყოველდღე სამსახურში ან დანარჩენი თანამშრომლები როგორ დადიან სამსახურში. მისი თქმით, სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები გადავსებულია გაურკვეველი ადამიანებით, რომლებმაც თავიანთი სამსახურის დასახელებებიც არ იციან. მან აღნიშნა, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა. შვებულების ნაწილშიც დარღვევაა, მან კანონის დაცვით მიმართა სამსახურს შვებულების თაობაზე, რაზეც მიიღო უარი. პროკურატურაშია

შეტანილი ამასთან დაკავშირებით სარჩელი, დაიწყებენ სასამართლო დავას. მან კომისიის თავმჯდომარეს მიმართა, რომ საფუძვლიანად შეისწავლოს აღნიშნული საკითხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი) აღნიშნა, რომ სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით ალბათ ბატონი დავითი შესაბამის ღონისძიებას მიმართავს. მისი თქმით, ეს ადამიანი სამსახურში არ ცხადდებოდა. ტელეფონით ეცნობა პირველივე გამოუცხადებლობაზე შესაბამისი რეაგირების შესახებ და ასევე გაეგზავნა დაზღვეული ფოსტით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო გასცემს პასუხს და კომისიის ფარგლებში ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა შეუძლებელია.

აქვე, კომენტარი გააკეთა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა ავთანდილ კოჭლამაზაშვილმა. მან დაადასტურა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნამდვილად შესულია განცხადება საქართველოს პროკურატურაში, სადაც საუბარია შესაძლო იძულებაზე, რომ აიძულებდნენ დაეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე. ბატონი ავთანდილის თქმით, ამ ფაქტობრივი მდგომარეობების დადასტურების შემდგომ ეს ჩაითვლება სისხლისსამართლებრივ დანაშაულად. შესაბამისი რეაგირებისთვის გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ უკვე იმსჯელეს ბატონი გიორგი ლილუაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება წინასაარჩევნო პერიოდში ბატონი კახა კალაძის თანამდებობაზე ყოფნის საკითხს. პარტიამ „გახარია -საქართველოსთვის“ პარასკევს შემოიტანა განცხადება, მისი დეტალურად განხილვის დრო არ ყოფილა. თუმცა, მისი შესწავლა აუცილებლად მოხდება. ამის მიუხედავად, ისაუბრა განცხადებაში დასმულ იმ საკითხზე, რომლებიც უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს ეხება, კერძოდ, ქალაქ ჩხოროწყუში იუსტიციის სახლის გახსნისას სიმბოლური კაფსულის ჩაშვებას. ბატონი პაატას სალიას თქმით, ეს არ ყოფილა პარტიული შეკრება ან პარტიული აგიტაცია. სუბიექტებს არ ეკრძალებათ ესეთ ღონისძიებებზე დასწრება. თავად მინისტრს, როგორც სახელმწიფო

პოლიტიკური თანამდებობის პირს, არ ეკრძალება ამგვარ ღონისძიებებში დასწრება. აქ საუბარი იყო ასევე სსიპ „იუსტიციის სახლის“ თავმჯდომარეზე, ბატონ ვახტანგ ჟვანიაზე. ბატონი პაატა სალიას თქმით, საჯარო მოხელეებს არ ეკრძალებათ არასამუშაო საათებში მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. განცხადებაში დასმულ დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით დეტალურად მომდევნო სხდომაზე იქნება განხილული.

ამის შემდეგ, გიორგი ედიშერაშვილის კითხვა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“) ისევ შეეხო წალენჯიხაში გამართულ იუსტიციის სახლის აშენებისა და მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულის ჩაშვების ღონისძიებას, რასთან დაკავშირებითაც კომისიის თავმჯდომარის მიერ განემარტა, აღნიშნული საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის სახლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებაა. დიდი ხანია წალენჯიხაში არსებობს იუსტიციის სახლის საჭიროება, შესაბამისად, ეს გათვალისწინებული იყო იუსტიციის სამინისტროს პოლიტიკით. მოცემულ ღონისძიებას ესწრებოდა ძალიან ბევრი ადამიანი და საარჩევნო აგიტაციას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, რომელთა დაყენებაც გიორგი ედიშერაშვილს სურდა კომისიის მიმდინარეობისას, ბატონმა პაატა სალიამ განმარტა, რომ ამ საკითხებს სჭირდება მოკვლევა და განხილვა, ვინაიდან ბატონმა გიორგი ედიშერაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“) წერილობით მომართა ამ ფაქტების შესახებ კომისიის სამდივნოს, მიმდინარე სხდომაზე ამაზე მსჯელობა ვერ მოხერხდება და მომდევნო კომისიის სხდომაზე განიხილება.

დამატებით ბატონი გიორგი ედიშერაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“) კითხვა მიემართებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს. კერძოდ, ჰქონდა თუ არა მას ინფორმაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 36-ე უბნის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც წინა დღით მიმართა ბატონმა გიორგიმ ედიშერაშვილმა ცენტრალურ საარჩვენო კომისიას. ასევე, დამაზუსტებელი კითხვა შეეხებოდა, თუ რატომ სჭირდებოდა ამ საკითხს მოკვლევა.

ზემოთ ხსენებულ საკითხზე ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) განმარტა რომ საოლქო საარჩევნო კომისია არის დამოუკიდებელი საარჩევნო კომისია, შესაბამისად, მოკვლევა საკითხის განხილვისას წარმოადგენს

სავალდებულო პროცედურას და არა სურვილს. ყველა საკითხს სჭირდება სამართლებრივად დადგენილი წესით რეაგირება. ეს რეაგირება აუცილებლად იქნება შესაბამის ვადაში, თუ ასე არ მოხდება, მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთვება საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც ზემდგომი კომისია, რომელიც განიხილავს ამა თუ იმ ქმედების თუ უმოქმედობის საფუძველს. ასევე, არც ერთი დადასტურებული შემთხვევა, რომელიც შეეხება საარჩევნო ადმინისტრატორის მხრიდან ეთიკის კოდექსის ან აგიტაციის წესების დარღვევას, საარჩევნო ადმინისტრაციას არ დაუტოვებია რეაგირების გარეშე. ეს იქნება შესაბამისი ჯარიმა თუ სანქცია, რასაც საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს. თუ კი რაიმე დადასტურდება საარჩევნო ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, იმოქმედებს საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, მაგრამ ყველა საკითხს სჭირდება მოკვლევა.

ამის შემდეგ ბატონმა გიორგი ედიშერაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“) ისევ მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს იმ საკითხზე, რომელზეც არ მიუმართავს ჰქონდა თუ არა ინფორმაცია ცეესკოს. ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) მას განმეორებით განუმარტა, რომ მომართვის საფუძველზე ცენტრალური საარჩევნო კომისია იმსჯელებს ნებისმიერ კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“) გააკეთა კომენტარი იმის შესახებ, რომ ორი თვის განმავლობაში თბილისის 10 ოლქსა და რუსთავის ერთ-ერთ ოლქში მისი ორგანიზაციის წევრების გარდა არ უნახავს სხვა დამკვირვებელი ორგანიზაციისა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) მიმართა კომისიის წევრებს და მადლობა გადაუხადა თითოეულ ინსტიტუციას საარჩევნო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობისთვის, განსაკუთრებით იუსტიციის სამინისტროს, საბოლოო სიების შემუშავების თვალსაზრისით. საბოლოოდ დადგინდა რომ იქნება 3 513 818 ამომრჩეველი, გაიხსნება 3061 უბანი, 2284 უბანზე იქნება ელექტრონული კენჭისყრა დანარჩენში იქნება ჩვეულებრივი. პენიტენციურ დაწესებულებაში საქართველოს მასშტაბით არის შექმნილი 10 უბანი. ხოლო სიაში თავის გადამოწმების სერვისით მოქალაქეებმა ისარგებლეს 600 784-ჯერ, რაც არის გადამოწმების მაღალი აქტივობა. საარჩევნო

ადმინისტრაცია სიების თვალსაზრისით სრულიად მზად არის, დასრულდა ბიულეტენების ბეჭდვის პროცესი, ახლა მიმდინარეობს ბიულეტენებისა და მანქანების დისტრიბუციის პროცესი შესაბამისი რეგიონების მიხედვით. ასევე, ჩართულ მხარეებს შეუძლიათ სიის საჯარო ვერსია გაიტანონ საარჩევნო ადმინისტრაციიდან და წლის განმავლობაში ამ სერვისით ისარგებლა ხუთმა პარტიამ. ეს არის კარგი საერთაშორისო პრაქტიკა და სიებთან მუშაობისა და გადამოწმების საშუალება აქვს ყველა ჩართულ მხარეს.

რაც შეეხება ბატონი გიორგი ედიშერაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის") კითხვას არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობის მიმდებარედ წესრიგის დაცვას, ალექსანდრე დარახველიძემ (შინაგან საქმეთა სამინისტრო – მინისტრის მოადგილე) განმარტა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა უკვე ბრძანება და ყველა უბანთან მობილიზებული იქნება პოლიცია იმ რეგულაციების დაცვით რაც განსაზღვრულია შინაგანაწესით და ასევე საარჩევნო კოდექსით. რაც შეეხება 100 მეტრიანი რადიუსის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების შეფერხება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რაც ითვალისწინებს პირველ ჯერზე გაფრთხილებას, შემდგომ შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული სახდელი. რაც შეეხება კომუნიკაციის საშუალებებს, მობილიზებული იქნება საპოლიციო დანაყოფი და 112, შესაბამისად, ამ კომუნიკაციის ხაზებით შეძლებს ნებისმიერი პირი დარეკვას და ინფორმაციის მიწოდებას.

სხდომის დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ განისაზღვრა მომდევნო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი – არჩევნების შემდგომ გაიმართება 6 ოქტომბერს 11:00 საათზე. მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს კომისიის მუშაობაში ჩართულობისთვის და ყველას უსურვა წარმატებები.

სხდომა დასრულდა 12:38 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: პაატა სალია

კომისიის მდივანი: ლანა მორგოშია